ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მანანა ჩიხლაძის ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

# ოქმი N1

28 ნოემბერი, 2022 წელი, 15 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოება ,, ბაღისკიდე''-ს წევრები. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრმა ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ. საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გია ბასილაძე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი თეა ჯუღელი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაქარ მახარაძე, კულტურის, განათლების, ახალგაზდრობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების" თავმჯდომარე ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე ბატონი დიმიტრი მხეიძე, საკრებულოს წევრი ბატონი მერაბ ჭოხონელიძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საკრებულოს წევრის, მანანა ჩიხლაძის 2022 წლის(იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მანანა ჩიხლაძე. მან აღნიშნა: ,,საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და აქტიური მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომა (12 რიგითი, 5 რიგგარეშე)

- კულტურის, განათლების, ახლგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 9 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 11 საკითხი.
- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 13 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 15 საკითხი.
- ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' ფრაქციის 14 სხდომა.
- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები/ ტრენინგები

COVID-19 პანდემიამ ქალაქის მოსახლეობას საკმაოდ მძიმე კვალი დააჩნია, მათ შორის, ადამიანების სოციალიზაციის მიმართულებით. აქტიურად ვარ ჩართული სწორედ ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად და შეჭირვებული ადამიანების მხარდასაჭერად:

ყოველთვიურად უსასყიდლოდ ვეხმარები 2 სოციალურად შეჭირვებულ ადამიანს, 2 შშმ პირს და ერთ მრავალშვილიანი ოჯახის წევრს შემდეგი აქტივობებით:

ექიმი–კარდიოლოგის, ენდოკრინოლოგის, ინფექციონისტის, ალერგოლოგის, იმუნოლოგის, თერაპევტის (საჭიროებიდან გამომდინარე) მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, ლაბორატორიული გამოკვლევები, ელ. კარდიოგრაფია, ექოსკოპიური გამოკვლევა.

საკუთარი დანაზოგით ვეხმარები 3 მრავალშვილიან ოჯახს სურსათითა და ჰიგიენური საშუალებებით.

საერთაშორისო კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერის" ფარგლებში აქტიური შეხვედრები გავმართე ქალბატონებთან, გავავრცელე ფლაერები, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. შევახსენე, რომ საქართველოს მასშტაბით, სკრინინგის ეროვნულ ცენტრებში, მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ასაკის ქალებისათვის ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის, და მსხვილი ნაწლავის სკრინინგები სრულიად უფასოა , რომ ადრეული დიაგნოსტირება აუცილებელია და ამისათვის დროული სკრინინგია საჭირო.

მიუხედავად იმ პროექტებისა, რომლებიც ბოლო წლებში ხორციელდება, მოსახლეობასთან საუბრისას კიდევ მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა, რომელთა გადაჭრაში, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად ვეხმარები.

გამომდინარე იქედან, რომ 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მსოფლიოში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დღეები აღინიშნება, რომლის მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახზე

ძალადობის აღმოსაფხვრელად, აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნულ აქტივობაში, რათა დროულად მოხდეს ძალადობის პრევენცია.

აქტიურად ვარ ჩართული ქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, სტუდენტურ აქტივობებში, აქტიური კომუნიკაცია მაქვს ქალაქის მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ საჭიროებებს, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვცდილობ, მონაწილეობა მივიღო პრობლემების ადრესატამდე მიტანასა და მოგვარებაში.

მეგი არველაძე: ,, უნივერსიტეტში მგზავრობა ყველას უჭირს, არ მოძრაობს ტრანსპორტი, გთხოვთ, მივაქციოთ ყურადღება.

მანანა ჩიხლაძე: ,, ჩვენ დავსვით ეს საკითხი, აუცილებლად ვეცდებით ეს პრობლემა მოგვარდეს.“

გეგა ორჯონიკიძე: ,, მოგეხსენებათ 3 დეკემბერი არის შშმ პირების დღე, რა ღონიშძიებებს გეგმავთ ამ მიმართულებით ქალაქში?“

მანანა ჩიხლაძე: ,, მადლობა კითხვისთვის, 3 დეკემბერს ქალაქის მასშტაბით ბევრი აქტივობებია დაგეგმილი, ყველა ლოკაცია განთავსებული იქნება მერიის ვებ-გვერდზე.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქალბატონი მანანა ჩიხლაძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) თერთმეტ თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

მანანა ჩიხლაძე